ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №102074

ნომერი: AR128266

თარიღი : 06.03.2012

გაცემის თარიღი : 29.03.2012

გაცნობის თარიღი : 30.03.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბუდაპეშტი , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მირანდა კვარაცხელია პ/ნ 01015007297
- თბილისი ანტონ კათალიკოსის ქ. N 32

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო მანათობელი აბრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ბუდაპეშტის ქუჩა #15–ში, შ.პ.ს "სიყვარული და კოქტეილი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #044/002), არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო მანათობელი აბრის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული სამუშაო თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს "სიყვარული და კოქტეილი"–ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი #01.10.12.044.002. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. #882011247271 27.05.11წ; შ.პ.ს 'სიყვარული და კოქტეილი"–ს თანხმობა; შ.პ.ს "სადაზღვევო კომპანია უნისონი"–ს რწმუნებულება 28.02.12წ; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ბუდაპეშტის ქუჩა #15–ში, შ.პ.ს "სიყვარული და კოქტეილი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #044/002), არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო მანათობელი აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას შენობის ფასადზე მოსაწყობი საპროექტო სარეკლამო მანათობელი აბრის კონსტრუქციის მდგრადობა.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge